<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ. 15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სამაუწყებლო რეკლამისა და სპონსორობის საკითხები რეგულირდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო რეკლამისადმი ზოგადი მოთხოვნები, ალკოჰოლიანი სასმელის, სექსუალური ხასიათის პროდუქციის, თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების, ფარმაცევტული პროდუქტის, ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების, იარაღის და ფასიანი ქაღალდების რეკლამის საკითხები, აგრეთვე რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს არასრულწლოვანთა დაცვის საკითხები რეგულირდება ამ კანონით.“.

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-17 პუნქტი:

„17. **აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების რეკლამა** - აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ან აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი მეწარმე სუბიექტის რეკლამა, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის პროცესის ან მასთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირება. “

3. 8^2 მუხლის შემდეგ კანონს დაემატოს შემდეგი რედაქციის 8^3 მუხლი:

„მუხლი 8^3. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების რეკლამა

1. აკრძალულია აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების რეკლამის გავრცელება რელიგიურ, საბავშვო, სასწავლო, სამედიცინო, სპორტულ (სტადიონი, სპორტული დარბაზი და სპორტული დანიშნულების სხვა შენობა-ნაგებობები, გარდა სპორტულ ეკიპირებაზე გამოსახვისა) და კულტურის დაწესებულებებში, აგრეთვე გარე რეკლამა მათგან 200 მეტრის რადიუსში.

2. აკრძალულია აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობისათვის განკუთვნილ შენობა ნაგებობაზე დაწესებულების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის განთავსება, რომელიც აღემატება 10 კვადრატული მეტრი ფართობის.

3. აკრძალულია აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების რეკლამის გავრცელება ტელევიზიის, რადიოს, ბეჭდური მედიის, ინტერნეტისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, გარდა სპორტული პროგრამის/რეპორტაჟის სპონსორობისა. სპონსორობის შემთხვევაში, დასაშვებია მხოლოდ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი მეწარმე სუბიექტის დასახელების და სასაქონლო ნიშნის/ლოგოტიპის გავრცელება, ფინანსთა

მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული პიქტოგრამის თანხლებით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სახიფათო შედეგების შესახებ.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება წამახალისებელი გათამაშების რეკლამაზე, გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების წამახალისებელი რეკლამისა.

მუხლი 2. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებისთანავე უზრუნველყოს ან კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის დამტკიცება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-14 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**